ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 245-15

ქ.თბილისი 26 ნოემბერი 2015 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილის პაატა ბელთაძის სახით და მეორე მხრივ, შპს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი" (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ვასილ მენთეშაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის დაცვით ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") –შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4.„მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1. ხელშეკრულების ობიექტი და მოწოდების ვადა

2.1. მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველს ბეჭდვითი მომსახურებით ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 (ოთხი) კალენდარული დღის განმავლობაში (CPV-კოდი 79810000).

2.2.ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა და რაოდენობა შემდეგია:

#	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთ. ფასი	სულ ფასი (ლარი)
1	სერთიფიკატი (A4 300გრ. ცარცის ქაღალდი, ბეჭდვა 4/0)	ცალი	80	1.13	165
2	სატიტულო ბლანკი (A4 120 ოფსეტური ქაღალდი, ბეჭდვა 4/0)	ცალი	300	0.55	90.4
	ჯამი				255.4

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 255.40 (ორას ორმოცდათხუთმეტი და ორმოცი თეთრი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს შეძენილი მომსახურების ღირებულება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის (სპეციალური ანგარიშფაქტურა ან/და მიღება–ჩაბარების აქტი) შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ, უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

4.2. ანგარიშსწორების ვადა – ყოველი თვის ბოლოს შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.3. მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში (საგარანტიო მომსახურების ვადის ჩათვლით) დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,01%-ის ოდენობით;

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ხელშეკრულების ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;

7.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს მალხაზ საბანიძე– ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის ლოჯისტიკის სპეციალისტი.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიწოდებული მომსახურების მიწოდების ვადების, მოცულობის, ხარისხის კონტროლს და ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.3. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

8.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მხარეები პასუხს აგებენ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულობლობისათვის ან/და მისი არაჯეროვნად შესრულებისათვის კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ზიანის ოდენობით, ურთიერთშეთანხმებით, ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13.მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მის.: ქ.თბილისი ნ.რამიშვილის 6 ს.კ.: 203860679 ტელ.: 2913814/15 ფაქსი: 2913841 ელ–ფოსტა: mkvitsiani@ombudsman.ge სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222 ს/ა: 200122900 სახალხო დამცველის პირველი მოადგილე პაატა ბელთაძე	სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“ ქ.თბილისი, მარჯანიშვილის ქ. N5 საიდ.კოდი: 202886172 ტელ: 2954818; 2953641 ელ-ფოსტა: info@bsk.ge ბანკი რესპუბლიკა კოდი: REPLGE22 ა/ა: GE16BR0000010277880250 დირექტორი ვ.მეწთეშაშვილი